პრეზიდენტი
დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველი

ცენტრში დამიზნება

ერც ისე დიდი ხნის წინ მე ვაკვირდებოდი ჯგუფს, რომელიც მშვილდოსნობაში ვარჯიშობდა. მხოლოდ დაკვირვებით დავადგინე, რომ თუ გინდა მშვილდ-ისარი დაიმორჩილო, დრო და ვარჯიში არ უნდა დაიშურო.

არ მგონია, რომ კარგი მშვილდოსნის სახელს მოვიხვეჭთ, თუკი ცარიელ კედელს ვესვრით ისრებს და შემდეგ ისრების ირგვლივ სამიზნეებს მოვხაზავთ. უნდა აითვისოთ დამიზნებისა და ათიანში გარტყმის ოსტატობა.

სამიზნეების დახატვა

ჯერ ისრის გამვება და შემდეგ მის ირგვლივ სამიზნის მონიშვნა ცოტა აბსურდულად გვეჩვენება, მაგრამ ზოგჯერ ჩვენ ზუსტად ასე ვიქცევით.

ჩვენ, როგორც ეკლესიის წევრებს, გვიზიდავს სახარების პროგრამები, საკითხები და დოქტრინებიც კი, რომლებიც გვეჩვენება საინტერესო, მნიშვნელოვანი ან სასიამოვნო. ჩვენ გვაქვს ცდუნება, მათ ირგვლივ სამიზნეები დავხატოთ, შემდეგ კი ვიჯერებთ, რომ სახარების ცენტრში ვარტყავთ.

ისე ადვილია ამის გაკეთება.

საუკუნეების მანძილზე ჩვენ ღვთის წინასწარმეტყველებისგან შესანიშნავი რჩევა და შთაგონება მივიღეთ. ჩვენ ასევე ვიღებთ მითითებებს და განმარტებებს სხვადასხვა გამოცემებიდან, საეკლესიო სახელმძღვანელოებიდან და ინსტრუქციებიდან. ჩვენ ადვილად შეგვიძლია ავირჩიოთ თემა სახარებიდან, შემოვხაზოთ მის ირგვლივ ათიანი და ჩავთვალოთ, რომ სახარების ცენტრი მოვძებნეთ.

მხსნელი განმარტავს

ეს ჩვენი დროისთვის განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს. ძველად, რელიგიური ლიდერები დიდ დროს უთმობდნენ ასობით მცნებების კვალიფიცირებას, მათი მნიშვნელობების მიხედვით ჩამოწერას და იმის გარჩევას, რომელი მათგანი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი.

ერთხელ რელიგიური მეცნიერები ეცადნენ, კამათში ჩაებათ იგი. მათ სთხოვეს, ისეთ საკითხზე გამოეხატა აზრი, რომელზეც ბევრი არ დათანხმდებოდა.

„მოძღვარო, რომელი მცნებაა დიდი რჯულში?

„იესომ უთხრა მას: შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით.

„ეს არის პირველი და დიდი მცნება.

„ და მეორე ამის მსგავსი: შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.

„ამ ორ მცნებაზე ჰკიდია მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი.“[1]

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ბოლო წინადადებას: „ამ ორ მცნებაზე ჰკიდია *მთელი* რჯული და წინასწარმეტყველნი.“

მხსნელმა არა მხოლოდ გვაჩვენა სამიზნე, არამედ მოგვინიშნა ათიანი.

სამიზნეში მოხვედრა

ჩვენ, როგორც ეკლესიის წევრებმა, დავდეთ აღთქმა, ავიღოთ საკუთარ თავზე იესო ქრისტეს სახელი. ეს აღთქმა გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ვეცდებით შევიმეცნოთ ღმერთი, გვიყვარდეს იგი, გავზარდოთ მასში რწმენა, პატივი მივაგოთ მას, ვიაროთ მისი გზით და მტკიცედ ვიდგეთ, როგორც მისი მოწმენი.

რაც უფრო მეტს ვსწავლობთ ღმერთის შესახებ და ვგრძნობთ მის სიყვარულს, მით უფრო ვიაზრებთ იმას, რომ იესო ქრისტეს უზომო მსხვერპლი ღმერთის ღვთიური ძღვენია. და ღვთის სიყვარული შთაგვაგონებს ჭეშმარიტი მონანიების გზით სიარულს, რომელიც მიტევების სასწაულამდე მიგვიყვანს. ეს პროცესი გვაძლევს საშუალებას, ვიქონიოთ უფრო დიდი სიყვარული და თანაგრძნობა ჩვენს ირგვლივ მყოფთა მიმართ. ჩვენ ვისწავლით იარლიყების მიღმა ყურებას . ჩვენ აღვუდგებით ცდუნებას, დავადანაშაულოთ სხვები მათი ცოდვების, ნაკლოვანების, პოლიტიკური მოსაზრებების, რელიგიური მრწამსის, ეროვნების ან კანის ფერის გამო.

ჩვენ დავინახავთ ყოველ ადამიანს, როგორც მამაზეციერის შვილს - ჩვენს ძმას ან დას.

ჩვენ მივწვდებით სხვებს სიყვარულითა და გაგებით, მათსაც კი, ვისი შეყვარება განსაკუთრებით ძნელია. ჩვენ ვიგლოვებთ მგლოვიარებთან ერთად და ვანუგეშებთ მათ, ვისაც ნუგეში სჭირდება.[2]

და ჩვენ მივხვდებით, რომ არ არის საჭირო დავიტანჯოთ სახარების სწორი სამიზნის გამო.

ორი დიდი მცნება ჩვენი სამიზნეა. ამ ორ მცნებაზე ჰკიდია მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი.[3] როცა ამას მივიღებთ, ყველაფერი კარგი თავის ადგილზე ჩადგება.

თუ ჩვენი ფოკუსირება, აზრები და მცდელობები პირველ რიგში მიმართული იქნება ყოვლისშემძლე ღმერთზე და სხვების მიმართ სიყვარულზე, ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ, რომ ვიპოვეთ სწორი სამიზნე და ათიანს ვუმიზნებთ ანუ ვხდებით იესო ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფეები.

შენიშვნები

1. მათე 22:36-40.
2. იხ. მოსია 18:9.
3. იხილეთ მათე 22:40.

ამ მოწოდების სწავლება

ამ გზავნილის გაზიარებამდე შეგიძლიათ იმღეროთ „ჩვენი მხსნელის სიყვარული“ (*ჰიმნები* გვ.113). შეაგულიანეთ ისინი, ვისაც სტუმრობთ, დაფიქრდნენ სამიზნეებზე თავიანთ ცხოვრებაში. შეგიძლიათ განიხილოთ სხვადასხვა ხერხი, რომლის დახმარებითაც ორი დიდი მცნება - „შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი“ და „შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“ (იხ. მათე 22:37, 39) ყოველთვის წინ გაუძღვება მათ საქციელს. შეგიძლიათ გაუზიაროთ განსაკუთრებული ხერხი, რომლის დახმარებითაც თქვენი ცხოვრება ქრისტეზეა ფოკუსირებული და გაუზიაროთ დამოწმება იმაზედ, რა დალოცვები მიიღეთ ამის შედეგად.

ახალგაზრდები

ღიმილს შეუძლია სიტუაციის შეცვლა.

პრეზიდენტი უხთდორფი აღნიშნავს ორ მიზანს, რომელიც უნდა ვიქონიოთ მოქმედებისას: გიყვარდეთ ღმერთი და გიყვარდეთ მოყვასი თქვენი. მაგრამ ზოგჯერ ასე ადვილი არ არის სხვების შეყვარება. ცხოვრებაში შეიძლება დაგიდგეთ დრო, როცა აღმოაჩენთ, რომ გიჭირთ სხვებთან ურთიერთობა. შეიძლება იმის გამო, რომ ვინმემ გული გატკინათ ან გიჭირთ ურთიერთობა ან ვიღაცასთან ვერ გამოძებნეთ საერთო ენა. ასეთ მომენტებში, ეცადეთ გაიხსენოთ ის სიყვარული, რომელიც მიგიღიათ მეგობრებისგან, ოჯახისგან, მამაზეციერისგან და იესო ქრისტესგან. გაიხსენეთ სიყვარული, რომელიც იგრძენით იმ სიტუაციებში და ეცადეთ წარმოიდგინოთ, რა მოხდებოდა, ყველას რომ ჰქონოდა საშუალება, ეგრძნო მსგავსი სიყვარული. გახსოვდეთ, რომ ყოველი ადამიანი ღვთის შვილია და იმსახურებს როგორც მის *ასევე* თქვენს სიყვარულს.

გაიხსენეთ კონკრეტული ადამიანი თქვენს ცხოვრებაში, რომელთანაც გიჭირთ ურთიერთობა. ილოცეთ ასეთ ადამიანებზე და სთხოვეთ მამაზეციერს, გაგიხსნათ მათ მიმართ გული. მალე თქვენ მას დაინახავთ ისე, როგორც ღმერთი ხედავს მათ: როგორც ერთ-ერთ შვილს, რომელიც იმსახურებს სიყვარულს.

ლოცვის შემდეგ რაიმე კარგი გაუკეთეთ მათ! დაპატიჟეთ ისინი რომელიმე ერთობლივ ღონისძიებაზე ან მეგობრებთან შეკრებაზე. შესთავაზეთ დახმარება

საშინაო დავალების შესრულებაში. ან უბრალოდ მიესალმეთ ან გაუღიმეთ. პატარა მოვლენას შეუძლია იქონიოს დიდი გავლენა. . . როგორც თქვენს, ასევე იმ პიროვნების ცხოვრებაზე!

ბავშვები

ათიანი!

პრეზიდენტი უხთდორფი ამბობს, რომ ცხოვრება მშვილდოსნობაში ვარჯიშს ჰგავს. ჩვენ უნდა ვუმიზნებდეთ ყველაზე მნიშვნელოვანს. ყველაზე მნიშვნელოვანი მცნებებია გიყვარდეს ღმერთი და სხვა ადამიანები. თუ ამ ორ რამეზე მოვახდენთ ფოკუსირებას, ჩვენ ყოველთვის ათიანში მოვარტყავთ!

დახატეთ ფურცელზე სამიზნე. სთხოვეთ მშობელს, წაგიკითხოთ ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალი. თუ ამ ჩამონათვალში შეგხვდათ ის, რაც გვეხმარება ღმერთისა და სხვების მიმართ სიყვარულის გამოხატვაში, შემოხაზეთ ეს ან დახატეთ სამიზნეში.

სათამაშოების გაზიარება

ტკბილეულის მოპარვა

ეკლესიაში სიარული

ვიღაცისთვის ზედმეტი სახელის დაძახება

ლოცვა

ვინმეს გულში ჩაკვრა

დედმამიშვილებთან ჩხუბი

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია.
დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *First Presidency Message, January 2017.* Georgian. 97921 131

მოწყალების საზოგადოების მიზანი

ლოცვის განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

მოწყალების საზოგადოების მიზანია „მოამზადოს ქალები მარადიული სიცოცხლის დალოცვებისთვის“, თქვა ლინდა კ. ბერტონმა, მოწყალების საზოგადების პრეზიდენტმა.[1] რწმენის, ოჯახისა და მოწყალების მეშვეობით ჩვენ ვერთვებით „საქმის მნიშვნელოვანი ნაწილის“ შესრულებაში.

მოწყალების საზოგადოება მიწიერი და სულიერი საქმეა“, - ამბობს ქეროლ მ. სტეპენსი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი. „ამას აკეთებდნენ ქალები მხსნელის დღეებში და ჩვენც ვაგრძელებთ ამის კეთებას“.[3]

როცა ვიხსენებთ სამარიელ ქალს ჭასთან, რომელმაც დატოვა წყლის ჭურჭელი და გაიქცა, რათა სხვებისთვის ეთქვა, რომ იესო წინასწარმეტყველია (იხ. იოანე 4:6-42), ან ფებეს, რომელიც სიხარულით ემსახურებოდა სხვებს თავისი ცხოვრების მანძილზე (იხ. რომაელთა 16:1-2), ჩვენ ვხედავთ ქალების მაგალითებს მხსნელის დღეებში, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქრისტესთან მოსვლის პროცესში. უფალია ის, ვინც გვიხსნის კარს მარადიულ ცხოვრებაში (იხ. იოანე 3:16).

როცა ვუყურებთ ჩვენს პიონერ დებს ილინოისში, ნავუში, რომლებიც 1842 წ. შეიკრიბნენ სარა კიმბალის სახლში, რათა საკუთარი ორგანიზაცია შეექმნათ, ჩვენ ვხედავთ ღმერთის გეგმას მოწყალების საზოგადოებისთვის, ისე რომ იგი სამღვდელოებასთან თანხმობაში იყოს. მას შემდეგ, რაც ელიზა რ. სნოუმ დაწერა კონსტიტუცია, წინასწარმეტყველმა ჯოზეფ სმითმა განიხილა იგი. იგი მიხვდა, რომ ეკლესია არ იქნება სრულად ორგანიზებული, სანამ ქალები არ იქნებიან ორგანიზებულნი. მან თქვა, რომ უფალმა მიიღო მათი შეთავაზება, მაგრამ იყო რაღაც იმაზე უკეთესი. „მე მოვახდენ ქალთა ორგანიზებას სამღვდელოების მაგალითზე“, - განაცხადა მან.[4]

„მოწყალების საზოგადოება იყო არა ამხოლოდ კიდევ ერთი ქალთა ჯგუფი, რომელიც ცდილობდა სიკეთის კეთებას მსოფლიოში. იგი სხვა რამე იყო. იგი იყო ‘რაღაც უკეთესი’, რადგან ორგანიზებული იყო სამღვდელოების უფლებამოსილებით. მისი ორგანიზება იყო აუცილებელი ნაბიჯი ღვთის საქმის გასაშლელად დედამიწაზე“.[5]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან და ინფორმაცია

მოძღვრება და აღთქმები 25:2–3, 10; 88:73; *reliefsociety.lds.org*

შენიშვნები

1. ლინდა კ. ბერტონი, სარა ჯეინ ვივერის “Relief Society Celebrates Birthday and More March 17,” *Church News,* Mar. 13, 2015, news.lds.org.
2. ლინდა კ. ბერტონი, in Weaver, “Relief Society Celebrates Birthday.”
3. ქეროლ მ. სტეპენსი, in Weaver, “Relief Society Celebrates Birthday.”
4. ჯოზეფ სმითი, წიგნიდან *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 11-12.
5. *Daughters in My Kingdom,* 16.

განიხილეთ შემდეგი

როგორ ეხმარება მოწყალების საზოგადოება ქალებს, შეასრულონ მამაზეციერის ღვთიური როლი და წაიყვანონ ისინი მარადიული ცხოვრებისკენ?

© 2017 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *Visiting Teaching Message, January 2017.* Georgian. 97921 131